„კომუნისტის“ პუბლიკაცია

უკრაინის დიდი შვილი

1939 წლის 7 მარტს თბილისში, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ამ საღამოზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ცნობილმა მკვლევარმა და მეცნიერმა, აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ. ქვემოთ პაატა ბეგიანის სახელოვანი მეცნიერის ამ სიტყვას (მცირედი შემოკლებით), რომელიც რედაქციას მოუწოდა მკვლევარმა სილოვმონ ყუბანეიშვილმა.

კორნელი კეკელიძე.

ამ ერთი წლის წინათ ჩვენი სოციალისტური საშობლო ერთსულოვნად დღესასწაულობდა უკვდავი რუსთაველის 750 და გენიალური პუშკინის 100 წლისთავს. სულ მოკლე დროში ასევე ერთსულოვნად იდღესასწაულებს ის სომეხთა ეროვნული ეპოპეის — დავით სასუნცის 1000, აზერბაიჯანელთა შესანიშნავი პოეტის ნიზამი განჯეველის 800 და უზბეკეთის სახელოვანი მგოსნის ნავოის 500 წლისთავს.

ეს დამახასიათებელია ჩვენი დიდი კავშირისა, რომელიც ნამდვილი დედაა ყველა იმაში შემავალი ერებისა და ამიტომ მისთვის თანაბრად ძვირფასია სახელოვანი ადამიანები თვითეული ამ ერისა. ეს დამახასიათებელია ამ ერთა ძმური სოლიდარობისა, რომლითაც ერთი მათგანის სიხარული მეორეს სიხარულია; ერთის გულისტკივილი მეორის გულისტკივილია, ერთის მიღწევა თუ ჩამორჩენა მეორის მიღწევა და ჩამორჩენაა.

დღეს ჩვენი საშობლოს თვალუწვდენელ სივრცეზე აღფრთოვანებით იგონებენ მოძმე უკრაინელთა გამოჩენილი პოეტისა და პატრიოტის ტარას შევჩენკოს სახელს, იმ შევჩენკოსას, რომელიც მატარებელი იყო მრავალტანჯული უკრაინის ერის სინდისისა და ბედისა. ერთ-ერთი ამისი გამოვლინებაა დღევანდელი ჩვენი შეკრება, დღევანდელი ზეიმი და სიხარული.

თუ, გარდა თვით უკრაინელებისა, ვინმეს უფლება აქვს შეჰხარიოდეს ამ ზეიმს და მისი მონაწილე იყოს, პირველ რიგში ჩვენ, ქართველებს. ჩვენთვის ყველაზე მეტად გასაგებია ის სევდა, რომელიც გულს უღრღნიდა დიდ პოეტს; ჩვენთვის გასაგებია ის მწარე ცრემლები, რომელთაც ის უხვად უფრთებდა მოდუდუნე დნეპრის ტალღებს: ჩვენთვის ყველაზე უფრო გასაგებია ის იდეალი, რომელსაც შესტრფოდა სიცოცხლეში ტანჯული მოქალაქე. ჩვენთვის იმგვარადვე გასაგებია კობზას "მელანქოლიური სიმების ფერი, როგორც ალაკი წერეთლის ცრემლიანი რითგურისა; ჩვენთვის იმგვარადვე გასაგებია ტარას შევჩენკოს პოეზიის ნაციონალურ-რევოლუციური მოტივები, როგორც ილია ჭავჭავაძისა.

და ეს არა იმიტომ, რომ უკრაინის ბუნება და ეროვნული ტემპერამენტი, როგორც იტყვიან, ჩვენსას ჰგავს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ, უკრაინელებსა და ქართველებს, ერთი და იგივე ეალით მოფენილი გზა გვქონდა წარსულში, ამიტომ დღევანდელი თავისუფალი, საამური და ბედნიერი ცხოვრების სიტკბოსაც ერთნაირად, ერთი გულითა და შეგნებით განვიცდით.

მართლაც, საქართველო და უკრაინა წარსულში კლდეზე მიჯაჭვულ იმ ამირას მოგვაგონებენ, რომლის სხეულს შეუმარალებლად სძიძგნიდნენ ყოველი ჯერის არწივები და ყვავები. ჯერ კიდევ შავი ზღვა ჰგზავნიდა საქართველოდან უკრაინისაკენ და უკრაინიდან საქართველოსაკენ ფაფარაყრილ ტალღებს იმ მწველე ცრემლებისას, რომელთაც მის სანაპიროებსა და ნავსადგურებში წყიმასავით აფრქვევდნენ ოსმალეთში ტყვედ გაყიდულნი, ერთიმეორეს დაშორებულნი, წმიდანები და შვილები, ცოლები და ქმრები, დები და ძმები, თუ საქართველოს სამხრეთიდან ირანის შახები სწიწკნიდნენ, უკრაინას დასავლეთიდან პოლონეთის შლიახტის „ბრწყინვალე პანები და მაგნატები“ აწიოკებდნენ.

სასოწარკვეთილი, უიმედო ქართველი საუკუნეთა განმავლობაში თბილისიდან მოსკოვისაკენ იცქირებოდა და შველასა და ხსნას „თეთრსა“ და „მართლმადიდებელ“ მეფეს სთხოვდა; მსგავსად ამისა წელშეგატეხილი და ძალამიხდილი უკრაინელიც კიევის სოფიის მოედნიდან მოსკოვისაკენ იშვერდა ხელს და თავისი გიტმანის პირით ხმამაღლა გაიძახოდა: „Волим под царя белого, царя православного“! ასეთი იყო ისტორიული აუცილებლობა.

რა მიიღეს ამ „თეთრი“ და „მართლმადიდებელი“ მეფისაგან ან უკრაინელებმა, ან ქართველებმა? ერთი და იგივე ეროვნული და კულტურული ჩაგვრა, შევიწროება, დაცინვა და შეურაცხყოფა: „თეთრი“ და „მართლმადიდებელი“ მეფე ერთნაირად სჭრიდა ენას ქართველსაც და უკრაინელსაც, ერთნაირად უკრავდა მათ ხელსა და ფეხს, ერთნაირად ალპობდა მათ კატორღასა და ციხეებში. უკრაინა და საქართველო ერთნაირად გრძნობდნენ თავიანთ ზურგზე ამ მეფის ნალიან ქუსლს, ისინი ერთნაირად იტანდნენ მწველე მათრახს ბინი „რეგიზორებისა“ და „ვოროდნიჩებისას“, რომელთა ტიპები ახე უკვდავეყო ტარას შევჩენკოს თანამემამულემ და თანამოკალმემ, დიდმა პოეტმა გოგოლმა. საქართველოსა და უკრაინაში ერთნაირად იდევნებოდა ენა, ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება, საზოგადოდ ეროვნული კულტურა.

განა დამახასიათებელი არ არის, რომ 120 წლის განმავლობაში „თეთრმა“ მეფეებმა საქართველოს, მათი სიტყვით — „კრამოლის“ ბუდეს, ერთი უმაღლესი სასწავლებელიც კი არ აღირსეს? ხოლო უკრაინის უნივერსიტეტი მათ ძალიანვით ყელზე ადგა და ძილს უფრთხობდა.

მოვიგონოთ 1837 წელი. სიხლსმსმელი ნიკოლოზ პირველი კიევში შედის, ოდესიდან მაღლობზე უზარმაზარ თეთრ შენობას დაინახავს. „რა არის ეს?“ — ეკითხება ის ამალას. „უნივერსიტეტი, თქვენო უდიდებულესობავ“, — უპასუხებენ მას. „ო, უნივერსიტეტი? ეს არის ის „კრამოლის“ ბუდე? Выкрасить его в красный цвет»! გასცა მრისხანე ბრძანება მრისხანე „პალკინმა“. მას შემდეგ კიევის უნივერსიტეტს არ ჩამორეცხია არასდროს წითელი ფერი.

რა იცოდა ტარასმა, რომ ეს წითელი ფერი გახდებოდა სიმბოლო უკრაინის თავისუფლებისა და ბედნიერებისა? რა იცოდა მან, რომ წითელი დროშის ქვეშ მკვდრეთით აღდგებოდა ლეგიონერებს გაშლიდა უკრაინა და მასთან ერთად მისი ბედის მოზიარე პატარა ერები?!

დღეს შესრულდა, განხორციელდა ტარას შევჩენკოს სურვილი, მისი ოცნება სინამდვილედ არის ქცეული.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის წყალობით, საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენს კავშირში შემავალ ეროვნებათა დიდ ოჯახში უკრაინამ პპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. წარხდეს დღენი უბერბემლო გეტმანებისა და გულუბრყვილო გონტაუელეზნიაკებისა! დღეს, მის, უკრაინის, ბედს განაგებს მისი საუკეთესო შვილებიდან შემდგარი „უმაღლესი საბჭო“, რომელიც მეფის მოსკოვისაკენ კი არ იშვერს ხელს, არამედ სოციალისტური საკავშირო დედაქალაქის წითელი კრემლისაკენ, რომლის კედლებზე კაშკაშებს ხუთქიმიანი ვარსკვლავი ახალი ცხოვრებისა.

დღეს მის სხეულს ძველებურად ვეღარ სძიძგნიან, ვინაიდან მისი ინტერესების სადარაჯოზე შედგომად დგას მისი საიმედო შვილებისაგან შემდგარი უძლეველი არმია, რომელიც ნაზად არის ყოველი ჯერის მტრებს რუსთველის მამაცური სიტყვებით უპასუხობს:

ჩვენია მკვიდრი მამული, არ
მოგცემთ არცა დრამასა;
არ დაგვეხსნებით? გაგიხდით
ქალაქსა, ვითა ტარასასა!

გაიხარე, ტარას შევჩენკო! შენი კეკლუცი უკრაინის კეკლუცი ასულნი აღარ სტირიან პანებისა და მაგნატების მარამხანაში, თავს აღარ იკლავს შენი კატერინა; ისინი, მარიამ დემჩენკოსა და პაშა ანგელინას სახით, თავისუფალი შრომის ფრონტს ამაგრებენ და ამშვენიერებენ.

შენი მამაცი ქვეყნის გმირი ვაჟები, შენი ირემი, აღარ გარბიან გაიდამაჯთა რიგებში, სადაც დაკმაყოფილებას ეძებდა შეურაცხყოფილი და შეგინებული კლასობრივი და ეროვნული გრძნობა. ისინი დღეს ჰქმნიან საზღვარო რაზმებს ჰაერში შფრინავ არწივებისას, ფაბრიკა-ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებისას, მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის და მწერლობის ენთუზიასტებისას!



ტარას შევჩენკო. მხატვარი გ. კახიძე.

ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისათვის

დიდებულო მგოსანო! საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწინავე მეცნიერების მუშაკნი კიევის უნივერსიტეტის მუშაკებთან ერთად ფიცსა ვდებთ, რომ

ახალს სახლში მარად
გაგიხსენებთ,
მოგიგონებთ
ტკბილი სიტყვით
წუნარად,

და ერთგული დარჯი ვიქნებით ამ „ახალი სახლისა“, რომლის საფუძველი ჩასდო. დიდმა ლენინმა.

გაუმარჯოს უკრაინას, გაუმარჯოს ჩვენი კავშირის ხალხთა ძმურ სოლიდარობას!

დიე მათ შორის დაბადებულიყოს და აღზრდილიყოს არა ერთი და ორი ტარას შევჩენკო!

ДИДИ КОБЗАРИС ПАТИВСАЦЕМАД

საქართველოს მშრომელები დიდი სიყვარულით აღნიშნავენ მომავალ უკრაინის უკვდავი შვილის, თავისუფლების მგზნებარე მომლოცველის ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავს. რესპუბლიკის მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და მაზტებში, მსგავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება დიდი კობზარის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები.

დღეს, 7 მარტს, დღის 12 საათზე, მწერალთა სახლში (მაჩაბელის ქ. № 13) გაიმართება შევჩენკოსადმი მიძღვნილი საიუბილეო სესია საქართველოს მწერალთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის მონაწილეობით.

გაერთიანებულ სესიას შესავალი სიტყვით გახსნის მწერალთა კავშირის მდივანი ს. ჭილაია.

მოხსენებებით გამოვლენ: **ბ. ფელენტი** („შევჩენკო და ჩვენი თანამედროვეობა“), **გ. აბზიანიძე** („შევჩენკო და ქართველი ხალხი“), **ი. ლორთქიფანიძე** („შევჩენკო და რუსი რევოლუციონერი დემოკრატები“), და **ი. ბოგომოლოვი** („შევჩენკო საქართველოს პრესაში“).